მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ნინო რაზმიაშვილმა** (დაბად.30.01.1984. რეგისტრირებული მისამართი: ქარელი ს. რუისი 31–ე ქ. N 4, პ/ნ # 43001006137, პ/მ სერია 11IA67675), **რევაზ ტყემალაძეს** (დაბად.09.08.1977. პ/ნ # 01024004230) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

რევაზ ტყემალაძე იყოს ჩემი, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ჩვენი სახლის" ს/კ 205339230 ამხანაგობის თავჯდომარის წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში და მის ნებისმიერ სამსახურში, სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის და ნებართვების სამსახურში, რათა ჩემი, როგორც ამხანაგობის თავმჯდომარის სახელით აწარმოოს საქმეები ამხანაგობის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მდებარე მისამართზე ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 73 , ბინა N 63 ს/კ 01.18.06.019.110. სამშენებლო/რეკონსტრუქციის პროექტის კორექტირებასთან და/ან ახალი სამშენებლო პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, აიღოს ახალი მშენებლობის ნებართვა, ცვლილებები შეიტანოს არსებულ მშენებლობის ნებართვაში, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს კორექტირებული პროექტი და ხელზე მიიღოს დამტკიცებული პროექტი, წარმომადგინოს როგორც მესაკუთრე და დაიცვას ჩემი ინტერესები, ყველა იმ პირობებით, რაც მინიჭებული აქვს მესაკუთრეს. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან.

რევაზ ტყემალაძე უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2020 (ორი ათას ოცი) წლის 6 (ექვს) სექტემბრამდე.

ნინო რაზმიაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190244298
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	06.03.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**გარიგებაზე ხელმოწერის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით ჩალათაშვილი**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი,მტკვრის ქ.#4**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2952228
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	34801117547619

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ექვს მარტს მე, ნოტარიუს დავით ჩალათაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში - მისამართზე: ქ. თბილისი მტკვრის ქ. #4-ში მომმართა ნინო რაზმიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ სურს ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება მინდობილობაზე. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა: ნინო რაზმიაშვილმა (დაბ.:30.01.1984წ., რეგისტრირებული მისამართი: ქარელი ს. რუისი 31–ე ქ. N 4, პირადი # 43001006137, ᲐᲛ სერია 11IA67675) . აღნიშნული მომენტისთვის მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა დავით ჩალათაშვილმა განვუმარტე ხელმომწერ პირს მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და დაადასტურა, რომ წინამდებარე მინდობილობაზე ხელმოწერა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მე, ნოტარიუსი დავით ჩალათაშვილი, ამ მინდობილობის დამოწმებისას ვადასტურებ, რომ ხელმოწერა მასზე უშუალოდ ხელმომწერ პირს ეკუთვნის და არ ვადასტურებ მინდობილობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად, პასუხს არ ვაგებ მათზე. ხელმოწერა შესრულებულია ხელმომწერი პირის მიერ პირადად, ჩემი თანდასწრებით. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად. ნინო რაზმიაშვილის თხოვნით, მინდობილობის ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო არქივში, ხოლ დანარჩენი გადაეცა მას. გადახდილია საზღაური: თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 6.0 (ექვსი) ლარი, დღგ 1.08 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2 (ორი) ლარი, სულ 9.08 (ცხრა და 08) ლარი.

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18